



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ქართული ენა და ლიტერატურა

1. პროგრამის დასახელება: ქართული ენა და ლიტერატურა

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართული ენასა და ლიტერატურაში (BA in Georgian Language and Literature)

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი დასტრუქტურული ერთეული:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტი,
ქართული ლიტერატურის დეპარტამენტი.

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები პროფესიული და კვლევითი საქმიანობისათვის, რაც დაეფუძნება ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური ცოდნის შეძენას. პროგრამა მიზნად ისახავს აგრეთვე სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი უნარის ჩამოყალიბებას პრაქტიკული საქმიანობისა და შემდგომი სამაგისტრო სწავლებისათვის.

- შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:

- უნდა ფლობდეს ქართულ სალიტერატურო ენას და ჰქონდეს წარმოდგენა მის სისტემასა და მრავალფეროვნებაზე;
- უნდა იცნობდეს ქართული ენის კავშირებს სხვა ენებთან და მის ტიპოლოგიურ თავისებურებებს, მის ისტორიას, თანამედროვე მდგომარეობას და განვითარების ტენდენციებს;
- უნდა გააჩნდეს ენის ანალიზის უნარი ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის კუთხით, ზოგადი ენათმეცნიერების ძირითად ცნებებსა და ტერმინებზე დაყრდნობით ენის ისტორიის ძირითად ეტაპებში ორიენტირება და თანამედროვე ენათმეცნიერების სადისკუსიო საკითხების ცოდნა;
- ლიტერატურის ცოდნა როგორც ისტორიული განვითარების, ისე თანამედროვე მდგომარეობის თვალსაზრისით, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერების, ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული

მნიშვნელობის ანალიზის უნარი საზოგადოებრივ სიტუაციასა და ეპოქის კულტურასთან კავშირში;

- უნდა იცნობდეს ლინგვისტური და ლიტმცოდნეობითი ანალიზის ძირითად მეთოდებს.

- დასაქმების სფეროები:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს შეეძლება იმსახუროს სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკაში, მუზეუმში, რედაქციაში, გამომცემლობაში, ტელევიზიასა და რადიოში, თეატრის ლიტერატურულ განყოფილებაში და ა.შ.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები: საშუალო სკოლის ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა.

6. პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 5 კატეგორიას მოიცავს:

1. საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)
2. საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2 კურსი):
3. პროგრამის სავალდებულო კურსები (130 კრედიტი)
4. პროგრამის არჩევითი კურსები (3 კურსი - 15 კრედიტი)
5. თავისუფალი კრედიტები (5 კრედიტი).
6. დამატებითი სპეციალობის (Minor) დისციპლინები - 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/	კრედი- ტთა რაოდე ნობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)													
1	ფილოსოფიის შესავალი	3	2.0.1	5	5								
2	ენათმეცნიერების შესავალი	3	2.0.1	5	5								
3	ლიტმცოდნეობის შესავალი	3	2.0.1	5	5								
4	კლასიკური ფილოლოგია	4	2.0.2	5	5								
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2კურსი)													
1	საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (შესავალი კურსები)	3	2.0.1	5	5								
	შესავალი არქეოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
2	საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები)	3	0.3.0	5	5								
	ინგლისური ენა	3	0.3.0	5	5								
	გერმანული ენა	3	0.3.0	5	5								
	ფრანგული ენა	3	0.3.0	5	5								
	რუსული ენა	3	0.3.0	5	5								
	ქართული ენა(უცხოელ სტუდენტთათვის)	3	0.3.0	5	5								
	სპარსული ენა	3	0.3.0	5	5								
	თურქული ენა	3	0.3.0	5	5								
	არაბული ენა	3	0.3.0	5	5								
პროგრამის სავალდებულო კურსები (120 კრედიტი)													

1	თანამედროვე ქართული ენა	3	1.0.2	30		5	5	5	5	5	5		
2	ძველი ქართული ენა	3	1.0.2	5						5			
3	ქართული ენის დიალექტოლოგია პრაქტიკით	3	1.0..2	5			5						
4	ქართული ენის ლექსიკოლოგია და სტილისტიკა	3	1.0..2	5								5	
5	ქართული სალიტერატურო ენის ისტორია	3	1.0.2	5							5		
6	ძველი ქართული ლიტერატურა	3	1.0.2	10		5	5						
7	XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა	3	1.0.2	10				5	5				
8	XX საუკუნის ქართული ლიტერატურა	3	1.0.2	10						5	5		
9	ქართული ფოლკლორი პრაქტიკით	3	1.0.2	5		5							
10	ტექსტოლოგია	3	1.0.2	5			5						
11	რუსთველოლოგია	3	1.0.2	5				5					
12	ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია	3	1.0.2	5					5				
13	ლიტერატურის თეორია	3	1.0.2	5						5			
14	თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი	3	1.0.2	5								5	
15	ზოგადი ენათმეცნიერება	3	2.0.1	5								5	
16	უცხო ენა	3	2.0.1.	5		5							
პროგრამის არჩევითი კურსები (20 კრედიტი - 3 კურსი)													
1	არჩევითი კურსი - 1	3	2..0.1			5							
1.1	საქართველის ისტორია												
1.2	კომპარატივისტიკა												
2	არჩევითი კურსი – 2	3	2.0.1			5							
2.1	აღმოსავლური ლიტერატურა												
2.2	დასავლეთ ევროპისა და ამერიკის												

	ლიტერატურა												
3	არჩევითი კურსი - 3	3	2.0.1					5					
3.1	რუსული ლიტერატურა												
3.2	ქართული მითოლოგია												
4	არჩევითი კურსი - 4	3	2.0.1									5	
4.1	სპეცკურსი ქართულ ენაში												
4.2	სპეცსემინარი ქართულ ლიტერატურაში												
	თავისუფალი კრედიტები	3		10				5		5			
	დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10	
	სულ			240	30	30	30	30	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში ლ/პ/ს/ლაბ. -
 ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

7. სასწავლო კურსების ანოტაციები

საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0500

კურსის დასახელება: ფილოსოფიის შესავალი (5კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტურის, რელიგიის, ფილოსოფიის პრობლემატიკა, აზროვნების ზოგადი კანონზომიერებები, შემეცნების თეორია, ღირებულებების, რწმენის, თავისუფლების საკითხები. ანტიკური ფილოსოფიის მიმოხილვა, შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის იდეალები, მეცნიერული პროგრესის იდეა ახალ დროში, თანამედროვე აზროვნება და პოსტმოდერნული სიტუაციის ანალიზი.

კურსის კოდი: HLB0110

კურსის დასახელება: ენათმეცნიერების შესავალი (5 კრედიტი).

ენათმეცნიერების შესავლის კურსი იკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველ წელს. კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები, ჩამოუყალიბოს დისციპლინისათვის არსებითი ტერმინოლოგიური ბაზა, შეასწავლოს ენათმეცნიერების ყველა დარგის საფუძვლები. კურსი გულისხმობს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს.

კურსის კოდი: HGB0230

კურსის დასახელება: ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი (5 კრედიტი).

ლიტერატურისმცოდნეობის შესავლის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ლიტერატურისმცოდნეობა და მისი ძირითადი დარგები, მონათესავე და დამხმარე დისციპლინები, პოეტიკის განვითარების ეტაპები; ლიტერატურა და ხელოვნება; ხელოვნების დარგები; ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა; თემა, იდეა, მიზამდასახულობა; ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიცია და სიუჟეტი; პერსონაჟთა კლასიფიკაცია; ადამიანთა სახეები გამოსახვის მეთოდის მიხედვით; მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალებები. დახასიათების სახეები; მწერლის ენა და პერსონაჟის ენა, პოეტური ლექსიკა, ტროპის სახეები, პოეტური სინტაქსის ფიგურები; ლექსი და პროზა (განსხვავება). რიტმა და მისი სახეები; ლექსის მთავარი ზომები (ტერფის სახეები). ლექსთწყობის სისტემები. ლექსის მთავარი სქემები (ქართული, ევროპული, აღმოსავლური). ლიტერატურის გვარებად და ჟანრებად ჩამოყალიბება: ეპიკური, ლირიკული და დრამატული ჟანრები.

კურსის კოდი: HAB0390

კურსის დასახელება: კლასიკური ფილოლოგია (5 კრედიტი).

კურსის მიზანია ანტიკური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა ანტიკურობის ინტელექტუალურ და სოციალურ კონტექსტში, ლათინური ენის შესწავლა, მისი

ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების განხილვა ინდოევროპული ენათმეცნიერების ჭრილში, ანტიკური კულტურის, როგორც ევროპული და გარკვეულწილად, თანამედროვე მსოფლიო კულტურის განხილვა კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. ჟანრის ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებისა თუ თავისებურებების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჰომეროსის, ჰესიოდეს, აპოლონიოს როდოსელის, ვირგილიუსის, ოვიდიუსის, საფოს და სხვათა შემოქმედებას, ანტიკური და პოსტანტიკური კონცეფციების შედარებით განხილვას.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (5 კრედიტი)
(შესავალი კურსები)

კურსის კოდი: HAB0380

კურსის დასახელება: შესავალი არქეოლოგიაში (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი (საგანი, მიზანი და ამოცანები); ხელოვნების ძეგლთა და სიძველეთა დაგროვება-კოლექციონირება; არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვა და სამუზეუმო კოლექციები; ნივთიერი კულტურა-არქეოლოგიის ძირითადი წყარო (კერამიკა, ლითონები, მინა, ქვა...); არქეოლოგია თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში; არქეოლოგია და დამხმარე დისციპლინები (ნუმიზმატიკა, ეპიგრაფიკა, გლიპტიკა); ეთნოარქეოლოგიური კვლევა; არქეოლოგია და ჰუმანიტარული მეცნიერებები (კლასიკური ფილოლოგია; ისტორია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების და კულტურის ისტორია); არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (პალეოანთროპოლოგია, პალეობოტანიკა, პალეობიოლოგია, პალეოეკოლოგია); არქეოლოგია და სინფორმაციო ტექნოლოგიები; წერილობითი წყაროები და არქეოლოგია; არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

კურსის კოდი: HIB0791

კურსის დასახელება: შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის და ისტორიის ცნება; აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესწავლის საგანი და მიზნები; სემიტოლოგიის, თურქოლოგიისა და ირანისტიკის სკოლების ტრადიციები საქართველოში; აღმოსავლური ფილოლოგიისა და ისტორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები და მათი შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ძირითადი ლიტერატურული ტენდენციები; ქართულ-აღმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები.

კურსის კოდი: HLB0541

კურსის დასახელება: შესავალი ქართულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).

კურსი შედგება ორი ნაწილისაგან: შესავალი ქართულ ენაში და შესავალი ქართულ ლიტერატურაში. ქართული ლიტერატურის პროპედევტიკულ კურსში სტუდენტებს ლექციები წაეკითხებათ შემდეგ საკითხებზე: ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები

და ძირითადი ტენდენციები უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, „ვეფხისტყაოსნის“ როლისა და ადგილისათვის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, ლიტერატურული დაჯგუფებანი და ძირითადი მიმდინარეობანი ქართულ მწერლობაში, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედება, ქართული კულტურისა და მწიგნობრობის კერები საქართველოსა და უცხოეთში... აღნიშნული საკითხები შესწავლილ იქნება მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან კონტექსტში. კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს სასკოლო განათლება.

კურსის მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის კოდი: HEB0241

შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ინგლისური ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი ასპექტები, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების ზოგადი აღწერილობა მოდულური სწავლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით: თითოეული ასპექტისა და ინგლისური ენის გრამატიკის საფუძვლების აღწერა; ინგლისური ენის თეორიული კურსების მიზნებისა და ამოცანების ზოგადი დახასიათება; ინგლისურ ენაზე საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით საკურსო და სადიპლომო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგიების სწავლება;

კურსის ასევე მიზნად ისახავს მიაწოდოს სტუდენტს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავოს მას ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0511

შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; გერმანული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; აღნიშნულ კურსში ისწავლება ცალკეული საკითხები გერმანული ენის მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, ასევე შესასწავლი ენის ზოგიერთი მომენტი ენის ისტორიიდან: მაგ., გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები, გერმანიკულ ენათა ოჯახი, გერმანიკული ტომები, გერმანული დიალექტები, გერმანული ენის ეროვნული ვარიანტები, გერმანული ენის არსებობის ფორმები, საშუალო გერმანულის ზოგადი დახასიათება, ადრეული ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება; ლიტერატურული ენის ფორმირების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები, საკითხები ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და გამდიდრებისათვის.

ამასთანავე, კურსი სტუდენტს მიაწვდის ზოგადი ხასიათის ინფორმაციას გერმანული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავებს მას ფილოლოგიისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0611

კურსის დასახელება: შესავალი რომანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ფრანგული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; აღნიშნულ კურსში ზოგადად ისწავლება ენის თეორიის საწყისი ცნებები ფრანგული ენის მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური სისტემების ზოგადი დახასიათების საშუალებით. კურსის მიზანია აგრეთვე კურიკულუმით გათვალისწინებული შესასწავლი ენობრივი ასპექტების მიმოხილვა. შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში ითვალისწინებს აგრეთვე სტუდენტისათვის ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებას ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; კურსის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HSB0361

კურსის დასახელება: შესავალი სლავურ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).

ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების განსაზღვრა. სლავური ფილოლოგიის სპეციფიკა და განვითარების ეტაპები. წამყვანი სკოლებისა და პერსონალების დახასიათება. ლიტერატურის, როგორც მეცნიერებისა და სიტყვის ხელოვნების ადგილი რუსული კულტურის ისტორიაში.

შესავალი სლავურ ფილოლოგიაში (ენა) აცნობს სტუდენტებს სლავური ენების ადგილს სხვა ევროპულ ენებს შორის, აგრეთვე აძლევს წარმოდგენას მათ ფონეტიკური და გრამატიკული სპეციფიკის შესახებ.

კურსი ეყრდნობა სტუდენტის მიერ სკოლაში მიღებულ ცოდნას. მისი შესწავლა ხდება მომიჯნავე დისციპლინების - კლასიკური ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების შესავლის პარალელურად.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები) (5 კრედიტი)

კურსის კოდი: HEB0051

ინგლისური ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს ინგლისური ენის ოთხივე ასპექტის – წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის

აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერიითი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის კოდი: HFB0071

გერმანული ენა (5 კრედიტი)

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას გერმანული ენის ზეპირ და წერიტ მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HFB0341

კურსის დასახელება: ფრანგული ენა (5 კრედიტი).

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ფრანგული ენის ზეპირ და წერიტ მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HSB0291

კურსის დასახელება: რუსული ენა (5 კრედიტი).

რუსული ენის სწავლების ლინგვისტურ კურსში სტუდენტის ლინგვისტურ გა მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს რუსული ზეპირი და წერიტ მეტყველების განვითარებასა და სრულყოფაში, ორთოგრაფიისა და ორთოეპიის სფეროში არსებული ცოდნის კორექტირებაში, გაღრმავებასა და აქტივიზაციაში. კურსში შესწავლილი იქნება: რუსული ენის ძირითადი ორთოგრაფიული ნორმები და მოხდება წერის დროს მათი სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; რუსული ენის ძირითადი ორთოეპიული ნორმები და ზეპირი მეტყველების დროს მათი სწორად გამოყენება; მოხდება რუსულ ენაზე

მარტივი ტექსტების კითხვის, თარგმნის, გაგების, ანალიზის, გადმოცემის უნარის განვითარება

კურსის კოდი: HIB0031

კურსის დასახელება: არაბული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატებითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0021

კურსის დასახელება: თურქული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს თურქული ენის ანბანის, კითხვის და წარმოთქმის წესების შესწავლას, უმარტივესი ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0011

კურსის დასახელება: სპარსული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატებითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: **HLB0401**

კურსის დასახელება: ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის

საგანი ხელს შეუწყობს არაქართველ სტუდენტთა (ან სპეციალისტთა) წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ჩამოყალიბება-ამაღლებას, დიალოგის წარმართვის, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ქართული ენის შესაძლებლობების დაუფლებას, რაც ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პიროვნების პროფესიონალიზმის საფუძველია. საგანი ითვალისწინებს ქართველოლოგიის ზოგადი საკითხების, ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის, განსაკუთრებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესწავლას.

პროგრამის სავალდებულო კურსები(120 კრედიტი)

კურსის კოდი: HLB0240

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული ენა 1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული ენის ფონეტიკური აღნაგობა, ხმოვნებისა და თანხმოვნების დახასიათება წარმოთქმის ადგილის, ღიაობა-ხშულობის, როგორობის მიხედვით; მარცვლის შექმნის პირობები, სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები; ორთოგრაფიისა და ორთოეპიის საკითხები; მორფოლოგიის საგანი, სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა, აფიქსთა კლასიფიკაცია; არსებითი სახელი, მისი შინაარსობრივი ჯგუფები, ბრუნება და ბრუნვის ნიშნები.

კურსის კოდი: HLB0250

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული ენა 2 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ზედსართავი სახელის რაობა, ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთდ, მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპები; რიცხვითი სახელის რაობა, ჯგუფები, წარმოება, მართლწერის საკითხები; ნაცვალსახელის რაობა, ჯგუფები, ბრუნება; ზმნის რაობა, სახელები და ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, წარმოქმნისა და უღლების კატეგორიები; ზმნიზედის რაობა, ჯგუფები, მართლწერის საკითხები; კავშირის რაობა, ფუნქციები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: თანამედროვე ქართული ენა 1

კურსის კოდი: HLB0260

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული ენა 3 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: თანდებულის რაობა, განაწილება ბრუნვების მიხედვით; ნაწილაკის რაობა, ჯგუფები, მართლწერის საკითხები; შორისდებული. სინტაქსის რაობა, საგანი; წინადადება, სინტაქსური ურთიერთობის ფორმები, წინადადების მთავარი წევრები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: თანამედროვე ქართული ენა 2

კურსის კოდი: HLB0270

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული ენა 4 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წინადადების არამთავარი წევრები. მარტივი წინადადების სახეები. შერწყმული წინადადების რაობა, ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი. შერწყმული წინადადების სახეები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: თანამედროვე ქართული ენა 3

კურსის კოდი: HLB0280

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული ენა 5 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული თანწყობილი წინადადება; რთული ქვეწყობილი წინადადება;

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: თანამედროვე ქართული ენა 4

კურსის კოდი: HLB0290

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული ენა 6 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რთული სინტაქსური კონსტრუქციები; ზერთული წინადადება; რთული წინადადების შეცვლა მარტივით და მარტივისა-რთულით.

მსგავსება - განსხვავება რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს შორის; სხვათა სიტყვა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: თანამედროვე ქართული ენა 5

კურსის კოდი: HLB0500

კურსის დასახელება: ძველი ქართული ენა (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძველი ქართული ენა შეისწავლის V-XI საუკუნეების ტექსტების ენობრივი თავისებურებანი, ქართული დამწერლობის საფეხურები, ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა, ბრენვათა სისტემა, ორმაგი მრავლობითი, სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების სისტემა. თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებული სინტაქსური და ფრაზეოლოგიური კალკები ძველ ქართულში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: თანამედროვე ქართული ენა 5 და ძველი ქართული ლიტერატურა.

კურსის კოდი:HLB0470

კურსის დასახელება: ქართული ენის დიალექტოლოგია პრაქტიკით (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული ენის დიალექტოლოგიის პრობლემები, ენისა და დიალექტთა ურთიერთმიმართება, მათი გამიჯვნის კრიტერიუმები, ქართველთა ენობრივი ერთეულების კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის საკითხი. დიალექტთა გავრცელების არეალი, ენობრივი თავისებურებანი.

კურსის ბოლოს სტუდენტები გაივლიან ორკვირიან დიალექტოლოგიურ პრაქტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ლექცია-სემინარებზე მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავებას.

კურსის კოდი: HLB0480

კურსის დასახელება: ქართული ენის ლექსიკოლოგია და სტილისტიკა (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენობრივი ერთეულების მნიშვნელობის განმარტება ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. გამონათქვამთა მნიშვნელობის კვლევისას გასათვალისწინებელია ფართო კონტექსტი, პრაგმატული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები. სიტყვის ემოციური იერი, შეფასების მომენტი, შეფასების მომენტი,სიტყვათა ხმარების სფერო, ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები, ლექსიკოლოგია მოიცავს სემასიოლოგიას, სემანტიკას, ონომასიოლოგიას, ლექსიკოგრაფიას, ეტიმოლოგიასა და სიტყვაწარმოებას.

სადა, ანუ პროზაული მეტყველებისა და მხატვრული მეტყველების სტილი, სადა მეტყველებისა და პოეტური მეტყველების სტილი.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: ქართული ენა 5

კურსის კოდი:HLB0490

კურსის დასახელება: ქართული სალიტერატურო ენის ისტორია (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პირობები, ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმათა ურთიერთობა, ენის სისტემაში მომხდარი ცვლილებების ქრონოლოგია წერილობით ძეგლთა მონაცემების მიხედვით, ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და უძველესი ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებების გაცნობა. ქართული დამწერლობის გენეზისი, ხანმეტობისა და ჰაემეტობის მიმართება, სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება.

კურსის კოდი:HGB0160

კურსის დასახელება: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 (5კრედიტი).

კურსის სწავლების მიზანია სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნონ ძველ ქართულ მწერლობას V საუკუნიდან XI საუკუნის ჩათვლით. უძველესი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით ძველ ქართულ ლიტერატურაზე მსჯელობის დროს, ახალგაზრდებს ჩამოუყალიბდეთ ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნებისა და ტექსტის ფილოლოგიური ანალიზის უნარი.

სტუდენტები ღრმად შეისწავლიან შუა საუკუნეების სასულიერო და საერო მწერლობის მხატვრულ-ესთეტიკურ სპეციფიკას, მის ეროვნულ მიზანდასახულებას, სხვა ხალხებთან (ბიზანტია, სომხეთი, სპარსეთი) ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიას. საფუძვლიანად გაეცნობიან ძველ ქართულ ძეგლთა ტექსტებს და წყაროებს, სხვადასხვა მეცნიერთა განსხვავებულ შეხედულებებსა და კონციფციებს, ცალკეულ მოსაზრებებს. კვლევის უახლეს მეთოდიკაზე დაყრდნობა მათ საშუალებას მისცემს ამა თუ იმ საკითხზე შეიმუშაონ

საკუთარი მოსაზრებანი. შეისწავლება ძველი ქართული მწერლობის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებები, მათი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულებანი; ძველი ქართული მწერლობის ეროვნული და ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა; ქართული მწერლობისა და შუასაუკუნეების აღმოსავლური და ევროპული ლიტერატურის ტიპოლოგია. ამ თვალსაზრისით შესწავლილი იქნება ბიბლია, ქართული სასულიერო მწერლობა, "მარტვილობები" და "ცხორებანი".

კურსის კოდი:HGB0170

კურსის დასახელება: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2 (5 კრედიტი).

კურსის აწავლების მიზანია სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნონ ძველ ქართულ მწერლობას XI საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. უძველესი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით ძველ ქართულ ლიტერატურაზე მსჯელობის დროს, ახალგაზრდებს ჩამოუყალიბდეთ ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნებისა და ტექსტის ფილოლოგიური ანალიზის უნარი.

სტუდენტები ღრმად შეისწავლიან შუა საუკუნეების სასულიერო და საერო მწერლობის მხატვრულ-ესთეტიკურ სპეციფიკას, მის ეროვნულ მიზანდასახულებას, სხვა ხალხებთან (ბიზანტია, სომხეთი, სპარსეთი) ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიას.

სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნობიან ძველ ქართულ ძეგლთა ტექსტებს და წყაროებს, სხვადასხვა მეცნიერთა განსხვავებულ შეხედულებებსა და კონციფციებს, ცალკეულ მოსაზრებებს. კვლევის უახლეს მეთოდიკაზე დაყრდნობა მათ საშუალებას მისცემს ამა თუ იმ საკითხზე შეიმუშაონ საკუთარი მოსაზრებანი.

საგანში "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" შეისწავლება ძველი ქართული მწერლობის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებები, მათი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულებანი; ძველი ქართული მწერლობის ეროვნული და ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა; ქართული მწერლობისა და შუასაუკუნეების აღმოსავლური და ევროპული ლიტერატურის ტიპოლოგია.

ამ თვალსაზრისით შესწავლილი იქნება ქართული საერო ლიტერატურა, საზღაპრო ეპოსი, XVII საუკუნის ქართული ემიგრანტული პოეზია, XVII-XVIII სს. ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, დრამატული მწერლობა, გარდამავალი ხანის მწერლობა.

კურსის კოდი:HGB0010

კურსის დასახელება: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა 1 (5 კრედიტი).

კურსი მიზნად ისახავს შესწავლილ იქნას XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები, ლიტერატურული მიმდინარეობანი ამ პერიოდის ჩვენს მწერლობაში. კურსის წაკითხვის დროს მონოგრაფიულად, მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, იქნება გაანალიზებული შესასწავლ პერიოდში მოღვაწე იმ მწერალთა შემოქმედება, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

ამ თვალსაზრისით შესწავლილი იქნება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება; 40-50-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება.

კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს: ძველი ქართული მწერლობა, ლიტერატურის თეორია, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, ფოლკლორი.

კურსის კოდი:HGB0020

კურსის დასახელება: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა 2 (5 კრედიტი).

კურსი მიზნად ისახავს შესწავლილ იქნას XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები, ლიტერატურული მიმდინარეობანი ამ პერიოდის ჩვენს მწერლობაში. კურსის წაკითხვის დროს მონოგრაფიულად, მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, იქნება გაანალიზებული შესასწავლ პერიოდში მოღვაწე იმ მწერალთა შემოქმედება, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით შესწავლილი იქნება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ქართველი ხალხოსნების შემოქმედება.

კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს: ძველი ქართული მწერლობა, ლიტერატურის თეორია, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, ფოლკლორი.

კურსის კოდი:HGB0030

კურსის დასახელება: XX საუკუნის ქართული ლიტერატურა 1 (5 კრედიტი).

კურსი მიზნად ისახავს შესწავლილ იქნას XX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები, ლიტერატურული მიმდინარეობანი და დაჯგუფებანი ამ პერიოდის ჩვენს მწერლობაში. კურსის წაკითხვის დროს მონოგრაფიულად, ევროპული ლიტერატურის კონტექსტში, იქნება გაანალიზებული შესასწავლ პერიოდში მოღვაწე იმ მწერალთა შემოქმედება, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

ამ თვალსაზრისით შესწავლილი იქნება 20-იანი წლების ლიტ. დაჯგუფებანი, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის, ჭ. ლომთათიძის, ვ. ბარნოვის, შ. დადიანის, გრ. რობაქიძის, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის, ი. გრიშაშვილის, ლ. ქიაჩელისა და კ. გამსახურდიას შემოქმედება.

კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს: ძველი და მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა, ლიტერატურის თეორია, ქართული კრიტიკის ისტორია, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია.

კურსის კოდი:HGB0040

კურსის დასახელება: XX საუკუნის ქართული ლიტერატურა 2 (5 კრედიტი).

კურსი მიზნად ისახავს შესწავლილ იქნას XX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები, ლიტერატურული მიმდინარეობანი და დაჯგუფებანი ამ პერიოდის ჩვენს მწერლობაში. კურსის წაკითხვის დროს მონოგრაფიულად, ევროპული ლიტერატურის კონტექსტში, იქნება გაანალიზებული შესასწავლ პერიოდში მოღვაწე იმ მწერალთა შემოქმედება, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში (გ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, დ. შენგელაია, პ. კაკაბაძე, ტ. გრანელი, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ლ. ასათიანი, ჭ. ამირეჯიბი, მ. ლებანიძე, ა. კალანდაძე, ნ. დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე, ო. ჭილაძე...). ცალკე იქნება განხილული ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე.

კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს: ძველი და მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა, ლიტერატურის თეორია, ქართული კრიტიკის ისტორია, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია.

კურსის კოდი:HGB0150

კურსის დასახელება: ქართული ფოლკლორი (5 კრედიტი).

ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიის კურსი მიზნად ისახავს განხილულ იქნას ქართული ფოლკლორისტიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ჟანრული თავისებურებანი, სპეციფიკის საკითხები, თითოეული ჟანრი და ქვეჟანრები, აგრეთვე პოეტიკისა და მხატვრული გამომსახველობითი ხერხების თავისებურებანი. ეთნოლოგიასთან, ლიტერატურის ისტორიასა და ლიტერატურის თეორიასთან კონტექსტში ნაჩვენები იქნება ფოლკლორისტიკის მიერ განვლილი გზა, XX საუკუნის ქართული ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა პერიოდების მიხედვით, ქართული ფოლკლორის განვითარების ტენდენციები XXI საუკუნის პირველ თწლეულში.

კურსის კოდი:HGB0090

კურსის დასახელება: ტექსტოლოგია (5 კრედიტი).

კურსი გააცნობს ბაკალავრებს მხატვრული ტექსტის შემოქმედებით ისტორიას: ზოგად ცნობებს ტექსტოლოგიურ ძიებათა შესახებ. ყურადღება გამახვილებული იქნება მწერლის შემოქმედებით მუშაობაზე; ხელნაწერებსა და მათი კლასიფიკაციის ძირითად პრინციპებზე; შეისწავლება ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები; მწერლის თხზულებათა გამოცემის ტიპები და სახეები. დოკუმენტური გამოცემები, მათი წყაროები, მეთოდები და საშუალებები; კლასიკური მწერლობის ნაწარმოებთა ტექსტების მეცნიერული გამოცემებისთვის მომზადების პრობლემა; კანონიკური ტექსტების დადგენა; კომენტარების პრობლემა, მისი ხასიათისა და სახეების განსაზღვრის პრინციპები. კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს: ქართული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია.

კურსის კოდი:HGB0070

კურსის დასახელება: რუსთველოლოგია (5 კრედიტი).

კურსის სწავლების მიზანია სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნონ "ვეფხისტყაოსნის" ტექსტს. მის მეცნიერულად შეისწავლის ისტორიას, ნაწარმოების ძირითად სააზროვნო პრობლემატიკას; უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით, გენიალური პოემის მხატვრულ სახეთა სისტემაზე მსჯელობის დროს ჩამოუყალიბდეთ კრიტიკული აზროვნებისა და ტექსტის ფილოლოგიური ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

შესწავლის საგანი იქნება "ვეფხისტყაოსნის" ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა; პოემაში ასახული რენესანსული სულისკვეთება, რუსთველისა და შუა საუკუნეების აღმოსავლური და ევროპული ლიტერატურის ტიპოლოგია.

კოდი: HGB0140

კურსის დასახელება: ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია (5 კრედიტი).

ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია ანალიზებს ლიტერატურულ-კრიტიკული სკოლებისა და ჟანრების უმთავრეს ასპექტებს; განიხილავს ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ძირითად თავისებურებებს უცხოეთში მიმდინარე, კულტურულ და ლიტერატურულ პროცესებთან კავშირში, ანალიზებს ძველი ქართული მწერლობის პერიოდის, XIX

და XX საუკუნეებისა და თანამედროვე ქართული კრიტიკის ცნობილ წარმომადგენელთა საყურადღებო მონოგრაფიებსა და სხვა მნიშვნელოვან პუბლიკაციებს.
კურსის შესწავლის წინაპირობაა ლიტერატურისმცოდნეობა, ძველი ქართული მწერლობა, XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის ისტორია.

კურსის კოდი: HGB0060

კურსის დასახელება: ლიტერატურის თეორია (5 კრედიტი).

კურსი მიზნად ისახავს შესწავლილ იქნას ლიტერატურის თეორიის წარმოშობისა და განვითარების უმთავრესი ისტორიული ეტაპები. ლიტერატურის თეორიის თანამედროვე მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, პოეტიკის საკითხები. კურსის წაკითხვის დროს გამოკვეთილი იქნება ლიტერატურულ მიმდინარეობებისა და მიმართულებების თეორიული საფუძვლები; პლატონის, არისტოტელეს, ჰორაციუსისა და სხვა ძველ ბერძენ მოაზროვნეთა ნაშრომები, მათი შეხედულებები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.
კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი.

კურსის კოდი: HGB0050

კურსის დასახელება: თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი (5 კრედიტი).

კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ქართულ მწერლობაში მიმდინარეობანი და დაჯგუფებანი, თანამედროვე ლიტერატურული პრესა და კრიტიკა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დღეს მოღვაწე კლასიკოს მწერალთა ბოლოდროინდელ შემოქმედებით ნიმუშთა განსჯა-გაანალიზებას. ბოლო ათწლეულში სამწერლო ასპარეზზე გამოსული უკვე ცნობილ და პოპულარულ ახალგაზრდა მწერალთა მხატვრულ-კრიტიკული ნააზრევის შესწავლას. ნაკლებადცნობილ, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწერების გაცნობას, თანამედროვე ქართულ მწერლობაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მიმართებას შესაბამისი პერიოდის მსოფლიოს მწერლობის საუკეთესო ნიმუშებთან. ბოლო ორი თწლეულის ქართულ ემიგრანტულ მწერლობას. კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს: ძველი, მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართული მწერლობა.

კურსის კოდი: HLB0210

კურსის დასახელება: ზოგადი ენათმეცნიერება (5 კრედიტი).

ზოგადი ენათმეცნიერების კურსი ეკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ფილოლოგიური სპეციალობების მეოთხე კურსის სტუდენტებს. კურსი მოიცავს ორ სფეროს: ენათმეცნიერების ისტორიისა და ენათმეცნიერების თეორიის საკითხებს. გათვალისწინებულია ყველა ძირითადი საენათმეცნიერო სკოლისა და თეორიული მიმდინარეობის დებულებების გაცნობა. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენათა შესწავლისა და აღწერის მეთოდების დაუფლებასა და პრაქტიკულ აპრობაციას, ასევე ძირითადი სამეცნიერო პუბლიკაციების დამუშავებას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ენათმეცნიერების შესავალი; ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია; დამწერლობათმცოდნეობა.

კურსის კოდი: HEB0370

კურსის დასახელება: უცხო ენა (5 კრედიტი).

ფილოლოგებთან უცხო ენის სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტებს შეასწავლოს პროგრამით გათვალისწინებული სახელმძღვანელოს ტექსტების გარკვეული რაოდენობა. კონკრეტულ

მასალაში ასახული ლექსიკური მინიმუმის პრაქტიკული გამოყენება საუბარში და ამ მინიმუმზე დაყრდნობით, წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა ზეპირად და წერით. ამასთანავე, სტუდენტმა უნდა შეძლოს საუბარი გერმანულ ენაზე. საშუალო სირთულის ორიგინალური ტექსტის გაგება, მისი შინაარსის თხრობა, საგაზეთო სტატიის წაკითხვა და თარგმნა, მისი მოკლე შინაარსის გადმოცემა. ამავე დროს, სტუდენტს უნდა შეექმნას წარმოდგენა იმ ქვეყნის ცივილიზაციასა და კულტურაზე, რომლის ენასაც სწავლობს. შესაბამისად, კურსი ითვალისწინებს ისეთი ტექსტების შესწავლას, რომელიც ღირებულაია ამ თვალსაზრისით.

არჩევითი კურსები
არჩევითი კურსი I

კურსის კოდი: SHB0051

კურსის დასახელება: საქართველოს ისტორია (5 კრედიტი).

კურსში შეისწავლება შემდეგი საკითხები: საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია. საქართველო ანტიკურ ხანაში. ქრისტიანობის როლი ქართველი ერის განვითარების საქმეში. საქართველო არაბულ ეპოქაში. ახალი ქართული პოლიტიკური ერთეულები VIII-X სს. საქართველოში. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XI-XII სს-ში. მონღოლები და საქართველო. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. საქართველო XVI-XVII სს-ში. საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები ირანთან, თურქეთთან და რუსეთთან XVIII ს-ში. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (1801-1917 წწ.). საქართველო 1918-1921 წლებში. საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ და 1924 წლის აჯანყება საქართველოში. საქართველო 1921-39 წლებში. II მსოფლიო ომი და საქართველო. საქართველო 1945-92 წლებში. საქართველო – თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის წევრი.

კურსის კოდი:HLB0301

კურსის დასახელება: კომპარატივისტიკა (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს სტრუქტურული ტიპოლოგიისა და შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების საკითხებს. მეტი ყურადღება ეთმობა შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებას, რომელიც შესაბამისი მეთოდებისა და მიდგომების საფუძველზე ავლენს ენათა ნათესაობას. შედარებით ისტორიული ენათმეცნიერება ნათელ წარმოდგენას ქმნის ქართული სალიტერატურო ენის, მისი დიალექტების ურთიერთმიმართებაზე ზანურთან და სვანურთან.

კურსის შესწავლის წინაპირობაა ენათმეცნიერების შესავლის კურსის ათვისება.

არჩევითი კურსი II

კურსის კოდი: HIB0781

კურსის დასახელება: აღმოსავლური ლიტერატურა (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ზოგად საკითხებს, ქართულ-აღმოსავლურ ლიტერატურულ ურთიერთობების ისტორიას, ორიგინალების ტექსტის დასადგენად ქართული მთარგმნელობითი ძეგლების მნიშვნელობის საკითხებს და პირიქით.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: ქართული ლიტერატურის და ლიტმცოდნეობის კურსების ათვისება.

კურსის კოდი: HWB0151

კურსის დასახელება: დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შუა საუკუნეებისა და და რენესანსის ეპოქის ევროპული ლიტერატურა; XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ლიტერატურა; ევრო-ამერიკული რომანტიზმი; XIX საუკუნის ევრო-ამერიკული რეალიზმი; XIX-XX საუკუნეების მიჯნის ევრო-ამერიკული ლიტერატურა; XX საუკუნის I ნახევრის ევრო-ამერიკული რეალიზმი; ევრო-ამერიკული მოდერნიზმი; პოსტმოდერნიზმი ევრო-ამერიკული ლიტერატურაში

კურსის შესწავლის წინაპირობა: ლიტერატურის თეორია

არჩევითი კურსი III

კურსის კოდი: HSB0281

კურსის დასახელება: რუსული ლიტერატურა (5 კრედიტი).

კურსი იძლევა წამოდგენას რუსული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ეტაპების, მიმართულებების და პერსონალების შესახებ. ეთმობა ყურადღება რუსულ-ევროპულ ლიტერატურულ კავშირებს, რუსული ლიტერატურის რეცეპციის პრობლემებს ხელოვნების სხვა სახეობებში.

კურსის კოდი: HGB0261

კურსის დასახელება: ქართული მითოლოგია (5 კრედიტი).

კურსი მიზნად ისახავს შეისწავლოს მითოლოგია, როგორც მეცნიერება "არქე" დროში ადამიანთა უნივერსალური აზროვნებითი სასტემის ჩამოყალიბების შესახებ. მითების კრეაციონული და ევოლუციური ხასიათი. კულტურული გმირის საკითხი მითოლოგიაში. მითის სპეციფიკური ნიშნები. მითოლოგიის გენეზისი და განვითარების ეტაპები, ანტიკური ხანა, აღორძინების ეპოქა, რომანტიკული ფილოსოფია, სიმბოლისტური და ანიმისტური თეორიები, XX საუკუნის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები. გენდერი და მითოლოგია. მითის კვლევა საქართველოში (ეფრემ მცირე "ელინთა ზღაპრობანი", იოანე ბატონიშვილის "კალმასობა", XIX-XX საუკუნის მკვლევართა საქმიანობა და მათი წვლილი ქართული მითოლოგიის შესწავლის საქმეში); უნივერსუმის მითოსური მოდელი; პოლითეისტური და მონოთეისტური პერიოდები; კოსმოგენეზი, სოლარული, ლენარული და ასტრალური მითები; ანიმიზმი--საკრალური მსოფლიო ხე, ზოომორფიზმი, ტერიომორფიზმი, ანთროპომორფიზმი. ტოტემი და ტაბუ, დარგობრივი ღვთაებანი; ღვთაება დალის გენეზისი. ევოლუცია და დესაკრალიზაცია; ქალ-ბარბარი, წმ. გიორგის საკრალიზებული დობილები; თეთრი გიორგის კულტი, მისი ფუნქციები და შერწყმა ქრისტიანულ წმინდა გიორგისთან; სამონადირეო მითოსი; ქრისტიანიზებული მითოლოგია,--ხატის ყმობისა და ხევისბერობის ინსტიტუტი აღმ. საქართველოში. ჯვარი და საყმო. ამირანის ეპოსი; მითოსური პარალელები: შუმერულ-ქართული, ხეთურ-ქართული, ბერძნულ-ქართული.

"ქართული მითოლოგია" გააცნობს მომავალ ფილოლოგებს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის მითოლოგიზირების საფუძველს.

კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს ფოლკლორი.

არჩევითი კურსი IV

კურსის კოდი: HLB0321

კურსის დასახელება: სპეცკურსი ქართულ ენაში (5 კრედიტი).

შეისწავლება მონოგრაფიები დამანა მელიქიშვილის “ქართული ზმნის უღვლილების სისტემა”, არნ. ჩიქობავას “მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში”.

კურსის კოდი: HGB0081

კურსის დასახელება: სპეცსემინარი ქართულ ლიტერატურაში (5კრედიტი).

სპეცსემინარი „სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში“ დაწვრილებით შეეხება სიმბოლიზმის წარმოშობისა და გავრცელების საკითხებს; ქართული სიმბოლიზმის ძირითად მახასიათებელ ნიშნებს; სტუდენტები შეისწავლიან ქართველი სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებასა და მათ პერიოდულ გამოცემებს; გაეცნობიან ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობას სიმბოლიზმის შესახებ. ქართული სიმბოლიზმის შესწავლა მოხდება ევროპული სიმბოლიზმის კონტექსტში;

თითოეულ სტუდენტს მიეცემა კონკრეტული დავალება რომელიმე ქართველი სიმბოლისტი მწერლის ან გამოცემის შესახებ, რომელსაც წარმოადგენს წერილობით, რეფერატის სახით.

კურსის შესწავლის წინაპირობაა ლიტერატურის მცოდნეობის შესავალი, ლიტერატურის თეორია, ქართული ლიტერატურის ისტორია.

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.